შესაძლებელია კი კათოლიკე ეკლესიის ნეიტრალური პოზიცია?

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

წინასიტყვა

„კათოლიკე ეკლესია, კათოლიკე ეკლესიები“ – მკაფიოდ და სკანდირებით წარმოთქვა ეს სიტყვები რომის ეპისკოპოსმა ფრანცისკემ გასული წლის 30 მაისს რუს მართლმადიდებელთა დელეგაციის წინაშე, რომელსაც მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი მეთაურობდა. წმინდა მამამ იქვე დასძინა, რომ „რომის ეკლესია არ უნდა ერეოდეს არც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმეებში და არც ამ ქვეყნის პოლიტიკურ საკითხებში“.

ამ სიტყვების ფონზე, ცხადია, ჩემს მიერ წარმოდგენილ მოხსენებას მხოლოდ გარეთ მდგომი დამკვირვებლის თვალით შედგენილი მოხსენების ხასიათი ექნება, რაც იოლი საქმე არ არის: დაკვირვება და მით უმეტეს, ლაპარაკი, უდავოდ დიდ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვს. ის, რაც მოხდა უკრაინაში, ყველამ კარგად ვიცით, თუმცა ბოლომდე ნათელი არაა, რატომ მოხდა. აქ ბევრი პასუხი და პოზიცია არსებობს. საკითხავია: ვისთან დაჯგუფდე, ვისი მხარე დაიჭირო? ეს კითხვა უკვე თავისთავად მიანიშნებს დილემის სირთულეზე და ერთგვარ უხერხულობაზეც. ფაქტია, რომ კათოლიკე ეკლესიას დღემდე არცერთი მხარე დაუჭერია. ამიტომაც უკრაინის ამჟამინდელ საეკლესიო ამბებზე მას არავითარი ახსნა-განმარტება გაუკეთებია. დაისმის კითხვა: პოზიტიურია კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელთა ეს არჩევანი? ბევრისთვის შეიძლება მისაღები და გასაგები იყოს ეს პოზიცია, ბევრისთვის კი – საკამათო, ანდა – მიუღებელი.

მოსკოვი ფიქრობს, რომ პაპი ფრანცისკეს პოზიცია „ძალიან გაწონასწორებულია“ იმ მოვლენებზე, რაშიც ჩაერთო მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინაში. მიტროპოლიტმა ილარიონმა,

რუსეთის ეკლესიის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მეთაურმა, პაპთან შეხვედრის შემდეგ (18 ოქტომბერი, 2018) ერთ-ერთ რუსულ სატელევიზიო არხზე განაცხადა, რომ მოსკოვის პატრიარქს „არასოდეს სმენია, რომ პაპს ან მის რომელიმე წარმომადგენელს მხარი დაეჭიროს კონსტანტინოპოლის მტაცებლური ქმედებებისათვის; არასოდეს სმენია, რომ პაპს უშუალოდ, ანდა წარმომადგენლის მეშვეობით, უკრაინის იმ ხელისუფლების მიმართ გამოეხატოს მხარდაჭერა, რომელიც რუსულენოვანი მოსახლეობის დისკრიმინაციას ახდენს“.

როდესაც ასეთ სიტყვებს ისმენ, უნებლიედ ჩნდება კითხვა: არის კი თავად ილარიონის ეს სიტყვები გაწონასწორებული, ანდა – განა ნეიტრალურია გამოთქმები: „კონსტანტინოპოლის მტაცებლური ქმედებები“ და „უკრაინის ხელისუფლება რუსულენოვანი მოსახლეობის დისკრიმინაციას ახდენს“? საკითხავია, არის თუ არა პაპის ნეიტრალური პოზიცია სწორი, როდესაც საუბარია „კონსტანტინეპოლის მტაცებლურ ქმედებებზე“ და „რუსულენოვანი მოსახლეობის დისკრიმინაციაზე“?

დამეთანხმებით, რთულია, ნეიტრალური პოზიცია გეჭიროს იმის მიმართ, ვინც ან რაც ნეიტრალური არ არის! ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორ მოახერხებ, დაიჭირო და შეინარჩუნო ნეიტრალური პოზიცია „მტაცებლური ქმედებებისა“ და „მოსახლეობის დისკრიმინაციის“ მიმართ? ანდა, განა საქები იქნება ასეთ შემთხვევაში ასეთი ნეიტრალიტეტი? ცხადია, ასეთი კითხვები დაისმის იმ შემთხვევაში, თუკი ხსენებულ მტაცებლობასა და დისკრიმინაციაში დარწმუნებული ხარ.

აქვე მინდა გაგაცნოთ ვენის კარდინალის, ქრისტოფერ შონბორნი, კომენტარი ინტერვიუდან, რომელიც მან შობის დღეებში მისცა ყოველდღიურ ავსტრიულ გაზეთს „Kathpres“-ს. ამასთანავე, ამთავითვე უნდა დავძინო, რომ მან დიდი დანანება გამოხატა იმ კონფლიქტური ვითარების გამო, რაც მართლმადიდებელ ეკლესიაში შეიქმნა. აი, მისი სიტყვები: „მე სულაც არ ვარ უკრაინის მართლმადიდებელთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგი. უბრალოდ, ჩემს თვალში ის განხეთქილება, რაც მას შედეგად სდევს, ნამდვილად ტრაგიკულია, ვინაიდან მან მძიმე დაღი დაასვა

უკრაინასა და რუსეთს შორის ისტორიულ კავშირს. ამიტომაც, პირველი რეაქცია ჩემში ის იყო, რომ მეტირებოდა“; „დამოუკიდებელი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნა და ეს სურვილი სავსებით გასაგებია, რადგან ნორმაშია მართლმადიდებელი ეკლესიის სამართალთან. მაგრამ საქმე ისაა, რომ მან ღრმა და არასასურველი დაღი დაასვა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას და ეკუმენურ ურთიერთობებს კათოლიკე და მართმადიდებელ ეკლესიებს შორის“. კარდინალი დასძენს: „უკრაინა მარტო რუსეთის ბეღელი კი არ იყო, არამედ რუსული ეკლესიის ცხოვრების „კერია“, რის გამოც უკრაინის დაკარგვით რუსული მართლმადიდებელი ეკლესია თავის გულს კარგავს“.

შონბორნი ამ განცხადებებში ასეთ კითხვასაც სვამს: „ვიცით, რომ რუსეთი თავიდანვე სირთულის წინაშე აღმოჩნდა უკრაინის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში... რა რეაქცია ექნება ვატიკანს უკრაინაში ახალი მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის აღმოცენების მიმართ? თუკი აღიარებს მას, ეს მოსკოვის საპატრიარქოსთან კონფლიქტს მოასწავებს, ხოლო თუ ახალ ეკლესიას არ აღიარებს, მაშინ ეკუმენურ საპატრიარქოსთან კონფლიქტში შევა“. კარდინალის თქმით, ეჭვი არაა, რომ „ინტერ-ორთოდოქსული კონფლიქტი არსობრივად ეკუმენიზმსაც დააზიანებს“. ეს კი იმ კატეგორიის „ზიანი“ იქნება, რომლის აცილებაც, ამავე მღვდელმთავრის აზრით, შეიძლებოდა.

იმავე პოზიციას იზიარებს მონსინიორ ანდრეა პალმიერი (ვატიკანის ქრისტიანთა ერთობის საბჭოს მდივნის მოადგილე). გაზეთ *L'Osservatore romano*-ის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც ა.წ. 19 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა და რომელიც კათოლიკე და ორთოდოქსულ ეკლესიებს შორის საღვთისმეტყველო დიალოგს (1980 წელს შერეული კომისიის დახმარებით წარმოებულს) ეძღვნება, იგი წერს: „კათოლიკე ეკლესიის სრულიად ნეიტრალური პოზიციის მიუხედავად, რაც მას უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის საკითხზე აქვს, პოტენციურად ნეგატიური შედეგების მომტანია მოსკოვის საპატრიარქოს წმიდა სინოდის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება“, რომლის თანახმად, რუსეთის ეკლესია არ მიიღებს მონაწილეობას იმ კომისიის მუშაობაში, რომე-

ლიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დელეგატს თავმჯდომარედ ან თანათავმჯდომარედ დანიშნავს.

შეიძლება ნეიტრალური დარჩე ამ მოვლენის წინაშე?

მიუხედავად იმისა, რომ ვიცნობთ ფაქტებს; ვიცით, თუ რაოდენ რთულია როგორც მიზეზების ახსნა, ისე ისიც, რომ ან ერთ ან მეორე მხარეს არ გადაიხარო. ჩვენ მაინც გვმართებს, გავიხსენოთ წარსული და დავფიქრდეთ იმაზე, რას მოუტანს უკრაინაში განვითარებული საეკლესიო მოვლენები მომავალს? თუმცა კათოლიკე ეკლესია, თავისი წარმომადგენლებით, ცდილობს ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას, ჩემი აზრით, შეუძლია ამ პოზიციის ბოლომდე შენარჩუნება. და მართლაც: როგორ შეიძლება გულგრილი დარჩე მაშინ, როდესაც საერთო რწმენა იმ საშიშროების წინაშე დგას, რომ ის შესაძლებელია, კანონიკური პრობლემების გადაუჭრელობის გამო, დაუძლურდეს, ანუ მას, მოძღვრებასაც, ზიანი მიადგეს.

რამდენიმე მოსაზრება

როგორი იქნება შედეგები? რამდენიმე მათგანი უკვე ცნობილია: არსებობს ახალი საპატრიარქო და იქვე არსებობს დიდი გაყოფა მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის და პრობლემები სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან. ასე რომ, გინდ ერთის მხარე დაიჭირე, გინდ მეორის, საბოლოოდ მაინც ვიღაცის მხარეზე დგახარ. აქ მთავარი მაინც ისაა, რომ ეკლესიის ისტორიის ერთ ავბედით ფურცელს ემატება კიდევ სხვა, – არანაკლებ ავბედითი ფურცელი და ამ ფურცლებზე იწერება არსობრივად თითქმის იგივე ტექსტი, რაც ძველ ფურცლებზე უკვე დაწერილია და რაც ისტორიაში ტრაგედიად შევიდა. ამ ფურცლისა და ამ ტრაგედიის მიმართ სერიოზული ყურადღების გამოჩენა გვმართებს.

აქ, ამ კონტექსტში, სამ პუნქტს გამოვყოფ:

1. გავიხსენოთ, რა მოხდა 1054 წელს და დღევანდელი ვითარების ფონზე გავაანალიზოთ ის, რაც მაშინ მოხდა. დღესაც, უწინდებურად, წინა პლანზეა პოლიტიკური მოტივაციები და ინტერვენციები. დღეს ამ ამბების უკან დგანან უკრაინის, რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები... დამამშვიდებელია და მისაღებია ასეთი პოლიტიკური ინტერვენციები? ერთი პროვოკაცია: ბევრი იწონებს უკრაინის პრეზიდენტის მოთხოვნას კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიმართ, მაგრამ საკითხავია, რუსეთის პრეზიდენტს რომ მსგავსი რამ გაეკეთებინა, რა რეაქცია ექნებოდათ მათ, ვინც ახლა უკრაინის პრეზიდენტის ამ აქტივობას იწონებს?

2. როცა მომავალზე ფიქრობენ, დღესაც, ისე როგორც უწინ, ცდილობენ, წინა პლანზე წამოწიონ საღვთისმეტყველო, დოგმატური ხასიათის პრობლემები. უკვე რუსული ეკლესიის რამდენიმე წარმომადგენელმა ეკუმენური პატრიარქის მისამართით მწარე ენით საუბარი და ისეთი ტერმინების გამოყენება დაიწყო, როგორიცაა „სქიზმა“ და „ერესი“. შეიძლებოდა იმ ტერმინებს, რასაც მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელი და მოსკოვის თეოლოგიური აკადემიის პროფ. ალექსეი ოსიპოვი იყენებს, ჩვენი ყურადღება არ მიექცია, მათ სხვადასხვა ინტერვიუში რომ არ გაეჟღერა და ასევე, მიტროპოლიტ ილარიონ ალფეევის განცხადებაშიც. ეს პიროვნება (ოსიპოვი) კონსტანტინოპოლის პატრიარქთან მიმართებით *პაპიზმის ერესზე* საუბრობს. ეს და მსგავსი ტერმინები იმდენად მკვიდრდება ხსენებული პიროვნებების ლექსიკაში, რომ ამ ფაქტმა არაერთ მსმენელში ნეგატიური რეაქცია წარმოშვა. მათ შორისაა წარმოშობით ბერძენი თეოლოგი დოქტ. გეორგ დემაკოპოული. ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც მან საგანგებოდ გაუგზავნა 2018 წლის 19 სექტემბერს მიტროპოლიტ ილარიონს, ამბობს, რომ ადრესატის (ილარიონის) მიერ გამოყენებული ტერმინი პატარა სქიზმატურმა დაჯგუფებებმა აიტაცეს. ესენი არიან ე.წ. „ძველ-კალენდარისტები“, რომლებიც ორთოდოქსული ეკლესიის სასულიერო ხელისუფლებას არ ემორჩილებიან. ბერძენი თეოლოგი სთხოვს რუს მიტროპოლიტს, გაითვალისწინოს, რომ უხერხულია აღნიშნული ტერმინების („სქიზმა“,

„ერესი“) მრავალჯერადად მოსმენა მისგან, – ესოდენ მნიშვნელოვანი საეკლესიო ფიგურისა და სახელგანთქმული თეოლოგის მხრიდან.

3. სასურველია, რომ არცთუ ძალიან შორეულ მომავალში ჩატარდეს ეკლესიათა დიდი კრება – საყოველთაო ინტერ-ეკლესიური კრება, რომელიც ეკლესიათა შორის წარმოქმნილ კანონიკურ პრობლემებს, მაგალითად, ავტოკეფალიის მინიჭების პრინციპს ავტორიტეტულად განიხილავს და ამ საკითხში სიცხადეს შეიტანს.

4. ყველასთვის ცნობილი *რავენას დოკუმენტი* (13 ოქტომბერი, 2017) ერთ-ერთი უკანასკნელია, რომლის ტექსტზეც მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიების წარმომადგენლები ერთობლივად მუშაობდნენ. ამ დოკუმენტის მიზანი და ამოცანა იყო შემდეგი: დადგენილიყო ეკლესიათა შორის კავშირების ისტორიულ-კანონიკური საფუძვლები. საქმე თითქოს კარგად აეწყო, მაგრამ რატიფიკაცია შეჩერდა. და შეჩერდა სწორედ საყოველთაო-საეკლესიო ავტორიტეტის განმარტების ეტაპზე. რატომ? ცნობილია შემდეგი: ამ ეტაპზე (ამ მომენტში) რუსული ეკლესიის წარმომადგენლებმა *შერეული კომისიის* სხდომა დატოვეს. თუმცა მალე გამჟღავნდა ამ ნაბიჯის მოტივი: იმავე წლის 25 დეკემბერს, მაშინ, როცა კონსტანტინოპოლში შობას აღნიშნავდნენ, რუსეთის წმიდა სინოდი იღებს და აქვეყნებს დოკუმენტს – „მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია ეკლესიაში პრიმატთან დაკავშირებით“, რომელშიც გამოთქმულია ეჭვები ეკლესიაში საყოველთაო პრიმატის მისამართით. მოსკოვური დოკუმენტის ავტორები უდიდეს მნიშვნელობას სძენენ რეგიონულ დონეზე გამოხატულ პრიმატს, ანუ საპატრიარქოებს და მნიშვნელობას არ ანიჭებენ საკითხს ერთი წმინდა კათოლიკე ეკლესიის საყოველთაო პრიმატის შესახებ; საჭიროდ არ მიიჩნევენ მის განხილვასაც კი.

სწორედ ამიტომ ახალი საპატრიარქოს შექმნა მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის უნდა იყოს სტიმული, რათა უფრო სერიოზულად და კონკრეტულად დაფიქრდნენ აღნიშნული

საყოველთაო პრიმატისა და ავტორიტეტის საკითხზე. იგულისხმება ისეთი საყოველთაო ორგანო, რომელიც ორთოდოქსიის სახელით იმდაგვარი ავტორიტეტით ილაპარაკებს, რომ მას ყველა მოუსმენს და დაემორჩილება. ასეთად წარმოგვიდგება პატრიარქთა სინოდი... მოკლედ, ვიღაც უნდა იყოს, ვინც უფლისა და სულიწმიდის მყოფობას გამოხატავს, როგორც პერსონალურად, ასევე, სინოდური ფორმით. და რადგან ასეთი რამ მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არსებობს, ხვალ და ზეგ ეკლესიებს შორის ახალ სირთულეებს უნდა ველოდოთ

თუ გავიხსნებთ ისტორიულსა და ძვირფას ფრაზას პრიმატსა და სინოდურობაზე – primus inter pares, დავინახავთ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს როლი ამ თვეების მანძილზე სულაც არ იყო მხოლოდ primus inter pares, ანუ მხოლოდ საპატიო ტიტული (პირველი თანასწორთა შორის) და მეტი არაფერი. პირიქით! ეს როლი და ეს გადაწყვეტილება თითქოს იმაზე ძლიერი იყო, ვიდრე რომის ეპისკოპოსის როლი, ვატიკანის პირველი კრების დეფინიციის გარეშეც... ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს პასუხი სულაც არ არის ავტორიტეტს მოკლებული პასუხი. ვხედავთ, რომ მან ზიარება, ანუ ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ერთპიროვნულად (სხვა პატრიარქებთან შეთანხმების გარეშე).

სამწუხაროდ, გამოჩნდა ორთოდოქსიის სისუსტე როგორც ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ისე (და პირველ ყოვლისა) საყოველთაო დონეზე, ანუ ინტერეკლესიურ სივრცეში.

დღეს ყოვლად აუცილებელია, ერთად დავფიქრდეთ ეკლესიათა შორის კავშირებში საყოველთაო ავტორიტეტზე. თუკი ამაზე მსჯელობა არ გაიმართება საეკლესიო სივრცეში ახალი აღთქმის მსოფლმხედველობით და გაყოფამდელი ეკლესიის ტრადიციების გათვალისწინებით, მაშინ ეკლესიათა შორის კავშირები შემოიფარგლება სოციოლოგიური და პოლიტიკური ჩარჩოებით და იმავე შედეგებს მივიღებთ, რის მოწმენიც ვართ. როდესაც მისი უწმიდესობა კირილე მინსკში ჩავიდა წმიდა სინოდის გასამართავად, მან ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „წმიდა სინოდი იკრიბება, რათა იმსჯელოს ორთოდოქსულ ეკლესიათა

ოჯახში დაგროვებულ პრობლემებზე“. როგორც ჩანს, ფრაზა: „ორთოდოქსულ ეკლესიათა ოჯახი“, ახლა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს რუსული ეკლესიის ამჟამინდელი მსახურების საეკლესიო მსოფლმხედველობის ერთგვარი კრისტალიზაციაა. თუმცა ამ ფრაზაში იგრძნობა საფრთხე, რომ „საყოველთაო ეკლესიის“ ხედვა გაუთანაბრდეს იმ ეკლესიის ხედვას, რომელიც „საყოველთაო ეკლესიის“ ყველაზე გავლენიანი და ძლიერი წევრია. ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციის დღემდე არსებული მოდელი მეტ-ნაკლებად ამართლებს, რადგან ის ყველა ე.წ. „სეკულარული“ ორგანიზაციისთვის საერთოა. მაგრამ ეკლესია ხომ „სეკულარული“ ორგანიზაცია არ არის და სეკულარული ორგანიზაციების წესები ხომ არ უნდა განსაზღვრავდნენ მის სტრუქტურას?! ეს ნიშნავს, რომ ორთოდოქსული ეკლესიის ერთობა დამოკიდებული არ უნდა იყოს ადგილობრივი ეკლესიების 15 თავკაცის ურთიერთსიმპათიებზე და არც მათ შორის ღრმა დიპლომატიურ კავშირებზე... და მართლაც: ორთოდოქსული ეკლესია, პირველ ყოვლისა, ხომ ადგილობრივი ეკლესიების ერთიანობა და კათოლიკობაა?! დიახ, ეს შინაარსი არის ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოს, ანუ მრწამსის შემადგენელი ნაწილი, – იმ მრწამსისა, რომელსაც მართლმადიდებელი მრევლი საღვთო ლიტურგიაზე წარმოთქვამს. მრწამსი კი ეკლესიის ბუნების ძირითად მხარეებს გადასცემს. ის დებულება, რომ ეკლესიის ერთობა ხელშეუხებელია, კიდევ ერთხელ ცხადყო *კრეტის პანორთოდოქსული კრების დოკუმენტებმა,* რითაც ახალი პერსპექტივები გაეხსნა *დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან ორთოდოქსული ეკლესიის ურთიერთობას.*

5. საკითხავია: ნუთუ არსებობს ეკლესიის ერთობის და ეკლესიებს შორის ერთიანობის მადლზე უფრო მნიშვნელოვანი მადლი, რის გამოც ეღირება იმ მადლის დაკარგვა, რისთვისაც ილოცა იესომ უკანასკნელ სერობაზე – გნებავთ საყოველთაო ერთიანობის დიად ფორუმზე? სამწუხაროდ, გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ჰგონიათ, რომ ვითომ არსებობს რაღაც ისეთი, რის გამოც ეღირება ერთობის გაწყვეტა. საამისოდ ჯერჯერობით თეოლოგიური მოტივები არ ჩანს, არის მხოლოდ პოლიტიკური,

იურიდიული, იურისდიქციული მოტივები. გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ისეთი ერთობა, რომელიც მუდმივად რწმენის ერთობასა და მთლიანობაზე იგება; არსებობს ერთობა, რომელიც მუდმივად ეკლესიის ავტორიტეტით არის დაცული და შენახული... და სწორედ ეს ერთობა იშლება! და რატომ ხდება ეს ასე? ვხედავთ, რომ ეს ხდება არა სარწმუნოებრივი პრობლემების გამო, არამედ რაღაც სხვა პრობლემების გამო... და იმის გამო, რაც, ერთი მხრივ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, მეორე მხრივ, მოსკოვის საპატრიარქომ მოიმოქმედეს. და სწორია ასეთი მიზეზების გამო ერთად ლოცვაზე უარის თქმა? თანმიმდევ-რულია? ლოგიკურია? დავფიქრდეთ: ერთი და იმავე რწმენის ორი პატრიარქი ერთმანეთთან ზიარებას გაეთიშა! სწორედ იგივე მოხდა 1054 წელს. გავითვალისწინოთ, რომ მაშინ, როგორც ახლა (2019 წელს), ორივე ეკლესიას, აღმოსავლეთისასაც და დასავლე-თისასაც, არსობრივად ერთი და იგივე რწმენა ჰქონდა (თეოლო-გიური შინაარსის განსხვავებები მერე და მერე აღმოცენდა და გაღრმავდა)... რაღაც არაპროპორციული და არალოგიკურია ის, რაც ჩვენს დღეებში ხდება, რის თვითმხილველნიც ვართ. თუკი გარედან, ირიბად და გულგრილად შევხედავთ დღევანდელ საეკლესიო მოვლენას, შეიძლება კიდეც გავამართლოთ ის, რაც მოხდა 1054 წელს, ანდა 1438-1439 წლებში ფერარა-ფლორენციის კრების დროს. მაგრამ როგორ შეუძლია ეკლესიის შვილს ასეთი მოვლენების მიმართ გულგრილი იყოს?!

ბოლოსიტყვა

დასასრულს, მინდა გავიხსენო, რომის ეპისკოპოსთან ზიარე-ბაში მყოფი უკრაინელებისაგან საპატრიარქოს შექმნის მოთხოვნა და ამ მოთხოვნის წინაშე პაპის ყოყმანი. ასევე, მინდა გავიხსენო პაპი ფრანცისკეს მძიმე სიტყვები, რომელიც მან 2018 წლის 30 მაისს წარმოთქვა და ირიბად მიანიშნა უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის საპატრიარქოდ აღიარების მოთხოვნის არადელიკატურობა. აი, მისი სიტყვები: „კათოლიკე ეკლესია არასოდეს დაუშვებს, რომ მის წიაღში გათიშულობის ნაბიჯები

გადაიდგას. ჩვენ არასოდეს დავუშვებთ ამას. ეს მე არ მსურს. მოსკოვში მხოლოდ ერთი პატრიარქია: თქვენი. ჩვენ სხვა არ გვეყოლება". ამგვარ პოზიციას სარჩულად უდევს არა პოლიტიკური მოტივები, არამედ საეკლესიო პატივისცემა. ჩემი აზრით, ესეც იმაზე მეტყველებს, თუ რარიგ რთულია თვით რომის ეკლესიისთვის ნეიტრალურ პოზიციაზე ყოფნა. ეს, ასევე, აჩვენებს იმასაც, რომ არსებობს უფრო მეტად მნიშნელოვანი ღირებულება, ვიდრე ეს ადგილობრივი და რეგიონული საეკლესიო სტრუქტურებისათვის ავტოკეფალიის მინიჭება-არმინიჭებაა.